

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N4

ქ. ლანჩხუთი

23 მარტი, 2012 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე, რევაზ ჩიტიძე.

**სხდომას ეწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ზვიად აფხაზავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, დავით ჩხაიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გია ორაგველიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გოჩა ჯანაშია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, პაატა ფირცხალაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, მერაბ წილოსანი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ნინო მიძიგური, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე, დონარა დოლიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მთ. სპეციალისტი საოქმო საკითხებში, მაია კეკელიძე.

**მოწვეული პირები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გოგუაძე, გამგებლის მოადგილე ნუგზარ ლლონტი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციის სამსახურის უფროსი ეთერ ჭყონია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსი, როლანდ ლაშხია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი, სარდიონ ჩხაიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ა.ა.ი.პ. „აგრო-ბიზნეს ცენტრი-ლანჩხუთის“ დირექტორი გელა ზოიძე და მედიის წარმომადგენლები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტიმემ დააყენა წინადადება დღის წესრიგის პროექტს დამატებოდა შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სიმბოლიკის (გერბის და დროშის) შესარჩევი კონკურსის ძირითადი პირობების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 17 ივნისის N63 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (სოფელ ჩიბათში მდებარე ყოფილი კულტურის სახლის შენობის) საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტიმემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი დამატებული საკითხების გათვალისწინებით:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობის) სანებართვო მოწმობის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, მშენებლობის სანებართვო მოწმობის, მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემის უწყებრივი სანებართვო რეესტრის ჟურნალისა და გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობის ჩამოწერის აქტის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ წესდების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მაჩხვარეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჯუნმერეს ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

4. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად

ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებოდ დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სიმბოლიკის (გერბის და დროშის) შესარჩევი კონკურსის ძირითადი პირობების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 17 ივნისის N63 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ზ. აფხაზავა/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (სოფელ ჩიბათში მდებარე ყოფილი კულტურის სახლის შენობის) საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

9. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტბემ, კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

**მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის პირველი საკითხზე** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობის) სანებართვო მოწმობის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების

წესის, მშენებლობის სანებართვო მოწმობის, მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემის უწყებრივი სანებართვო რეესტრის ჟურნალისა და გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობის ჩამოწერის აქტის ფორმების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა, შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ 2011 წლის ბოლოს ცვლილება შევიდა „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, რეგისტრაციის წესისა და რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს N669 ბრძანებაში. აღნიშნული ცვლილებით მკაცრი აღრიცხვის ფორმას განეკუთვნა მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმაც. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის თანახმად სანებართვო მოწმობის ფორმა განისაზღვრება კანონით ან/და ნებართვის გამცემის ან ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული აქტებით. მისივე განმარტებით „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად ს.ს.ი.პ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გაიგზავნა წერილი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმის“ ნიმუშის შეთანხმების თაობაზე.

მისივე განმარტებით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე და 36-ე მუხლების, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე წარმოდგენილი დადგენილების პროექტით მტკიცდება სანებართვო მოწმობების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშების წესი.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ილო გვარჯალაძემ აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურისა და სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე კომისიის წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

პროექტის მიმართ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატების მიერ შენიშვნები, მოსაზრებები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტაძემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

**მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

## **მიღებულ იქნა დადგენილება N15 (23.03. 2012 წელი).**

**დღის წესრიგის მეორე საკითხზე** „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ წესდების დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ ა.(ა).ი.პ. ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მენეჯერმა წარმოადგინა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც განმარტებულია, რომ რეგიონალური ლაბორატორიის შექმნის გამო ჯანდაცვის ცენტრთან არსებულ ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიას შეეკვეცება საქმიანობის სფერო. კერძოდ, ის ვედარ განახორციელებს სხვადასხვა სახის ინფექციური დაავადებების ლაბორატორიული წესით დადასტურების მხრივ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მომსახურებას. აღნიშნულიდან გამომდინარე იგი ითხოვს ცენტრთან არსებულ ლაბორატორიას შეუნარჩუნდეს მხოლოდ საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო (სკოლები, სკოლამდელი აღზრდის) ცენტრებში საცურაო აუზსა და მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის ლაბორატორიული კვლევის განხორციელების სტატუსი. ხსენებული ცვლილებები კი საჭიროებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის წესდებაში ცვლილებების შეტანას. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ წესდებაში სხვადასხვა დროს უკვე შესულია რამოდენიმე ცვლილება მიზანშეწონილია საკრებულოს განკარგულებით დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ წესდება, რომელშიც გათვალისწინებულ იქნება, როგორც ახლანდელი, ისე ყველა ადრე შეტანილი ცვლილება და ძალადაკარგულად გამოცხადდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 15 თებერვლის N21 განკარგულება.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, გოჩა ჯანაშიამ აღნიშნა, რომ სხდომაზე კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტს.

განკარგულების პროექტის მიმართ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატების მიერ შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტინემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს:

**მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

### **მიღებულ იქნა განკარგულება N40 (23.03. 2012 წელი).**

**დღის წესრიგის მესამე საკითხზე** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მაჩხვარეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჯუნმერეს ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მაჩხვარეთის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ მოსახლეობასთან კონსულტაციების საფუძველზე შემუშავებულ იქნა წინადადებები სოფ. ჯუნმერეს ქუჩების, მოედნების სახელდების და ნუმერაციის შესახებ. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად შესაბამისი დადგენილების მისაღებად უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

განკარგულების პროექტის მიმართ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტბემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს:

**მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

### **მიღებულ იქნა განკარგულება N41 (23.03.2012 წელი).**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე**, „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 თებერვლის „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწებზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთების დამტკიცების თაობაზე“ N50 დადგენილებით განისაზღვრა ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთები სასოფლო სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწებზე. აღნიშნული დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 23 დეკემბრის N394

დადგენილება, რამაც განაპირობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 13 მარტის N11 დადგენილების გაუქმებაც.

მისივე განმარტებით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, საქართველოს საგადასახდო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის და ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი ქვეპუნქტის თანახმად შესაბამისი დადგენილების მისაღებად უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, გია ორაგველიძემ, აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

განკარგულების პროექტის მიმართ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა:

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტაძემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

**მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N42 (23.03.2012 წელი).**

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრი N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის რეკომენდაციის საფუძველზე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული შემცირდეს მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა 9000 ლარით და შემცირების ხარჯზე 800 ლარით გაიზარდოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გარდაცლილი მეომრების ოჯახების დახმარების პროგრამა, ასევე 3500 ლარით გაიზარდოს უსინათლოთა დახმარების პროგრამა და 4700 ლარით 18–დან 60 წლამდე ასაკის**

მქონე მოსახლეობის ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამა, 1000 ლარი გამოეყოს კომპიუტერის შესაძენად მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, მეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს, მოწესრიგდეს ა.(ა).ი.პ-ებში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება. ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით უნდა იქნს შეტანილი ცვლილება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 16 დეკემბრის N32 დადგენილებაში „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

მანვე განმარტა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად შესაბამისი დადგენილების მისაღებად უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

განკარგულების პროექტის მიმართ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატების მიერ სხვა შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტბემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს:

**მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N46 (23.03.2012 წელი).**

**დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებოდ დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება ქალაქ ლანჩხუთში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე ანგარის ტიპის ლითონის კონსტრუქციის დაუმთავრებელი შენობა. მუნიციპალიტეტის გამგეობას მიაჩნია, რომ აღნიშნული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზება გამართლებულია და იგი გაზრდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებს. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განკარგულების პროექტი ითვალისწინებს აღნიშნული ობიექტის საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანას.



საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გია ორაგველიძემ აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

განკარგულების პროექტის მიმართ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტაძემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს:

**მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N43 (23.03.2012 წელი).**

**დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სიმბოლიკის (გერბის და დროშის) შესარჩევი კონკურსის ძირითადი პირობების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 17 ივნისის N63 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტი** სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ზვიად აფხაზავამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სიმბოლიკის ესკიზის (გერბის, დროშის) შესარჩევი საკონკურსო კომისიის მიერ ვერ გამოვლინდა გამარჯვებული ესკიზის პროექტი, რის გამოც კონკურსი გამოცხადდა ჩაშლილად. კომისიის მიერ შემუშავებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სიმბოლიკის კონკურსის ძირითად პირობებში ცვლილებების შეტანის პროექტი, კომისიის მიერ განისაზღვრა კონკურსის ჩატარების ახალი ვადები. ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს საკრებულოს 2011 წლის 17 ივნისის N63 განკარგულებაში ცვლილებების შეტანას.

განკარგულების პროექტის მიმართ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტაძემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს:

**მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N45 (23.03.2012 წელი).**

**დღის წესრიგის მერვე საკითხზე, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (სოფელ ჩიბათში მდებარე ყოფილი კულტურის სახლის**

შენობის) საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტაძემ. მან განმარტა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის N46 დადგენილებისა და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 5 ნოემბრის N40 დადგენილების შესაბამისად, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (სოფ. ჩიბათში მდებარე ყოფილი კულტურის სახლის შენობა, მიწის საკადასტრო კოდი 27.09.45.003.) საწყისი წლიური ქონების ოდენობის (გარდა მიწისა) განსაზღვრას, ქონების საბალანსო ღირებულების 25% ოდენობით, ხოლო შენობა-ნაგებობაზე მიმაგრებული 1კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი წლიური ქირისა 0,159 ლარით.

საკითხთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ. „აგრო-ბიზნეს ცენტრი-ლანჩხუთის“ დირექტორმა გელა ზოიძემ აღნიშნა, რომ მ/წ 8 თებერვალს ა.(ა).ი.პ. „აგრო-ბიზნეს ცენტრი-ლანჩხუთის“ წერილობით მომართა შ.პ.ს. „სერაფის“ დამფუძნებელმა, თურქეთის მოქალაქემ, მეჰმეთ კამბურმა, რომელიც ითხოვდა ორგანიზაციისათვის უსასყიდლო უზურფრუქტის ხელშეკრულებით გადმოცემული ჩიბათის ტერიტორიულ ერთეულში მდებარე ყოფილი კულტურის სახლის 1000კვ.მ. საწარმოო ფართისა და 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას თხილის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისათვის, რომლის წლიური წარმადობა განისაზღვრება 8500 ტონა სიმძლავრით, სადაც დასაქმდება 60-100 ადამიანი, რაც გააუმჯობესებს მუნიციპალიტეტში მოსახლეობის დასაქმების მდგომარეობას და გაზრდის საბიუჯეტო შემოსავლებსაც.

საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, გია ორაგველიძემ, აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა და მხარი დაუჭირა მას.

განკარგულების პროექტის მიმართ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატების მიერ შენიშვნები და განსხვავებული აზრი არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტბემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს:

**მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N44 (23.03.2012 წელი).**

### **სხვადასხვა**

- ძირითადი საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს თავმჯდომარემ ისაუბრა პროგრამაზე, რომელსაც ა.(ა).ი.პ. „აგრო ბიზნეს ცენტრ–ლანჩხუთი“ ახორციელებს. ეს არის ჩაის გადამამუშავებელი ორი მიკრო ფაბრიკის დამზადება და ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციის ხელშეწყობა. პროგრამა ხორციელდება ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გრანტის ფარგლებში. როგორც თავმჯდომარემ აღნიშნა ჩაის რეაბილიტაციის პროგრამაში მუნიციპალიტეტის ჩართულობა მეტად მნიშვნელოვანია, ლანჩხუთი ამ მხრივ პირველია.
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ. „აგრო ბიზნეს ცენტრ–ლანჩხუთის“ დირექტორმა გელა ზოიძემ დამატებით გააკეთა ინფორმაცია, რომ შ.პ.ს. „სერაფის“ მიერ შემოთავაზებული საინვესტიციო პროექტების განხორციელება მეტად მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისათვის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ამასთანავე აუცილებელია უმოკლეს ვადაში „აგრო ბიზნეს ცენტრ–ლანჩხუთს“ ჩიბათის ტერიტორიულ ერთეულში გამოეყოს შენობა, რათა ხელი არ შეეშალოს ჩაის მრეწველობის ინდივიდუალური სექტორის რეაბილიტაციის პროგრამის პირველი ეტაპის განხორციელებას, რომელიც გულისხმობს ჩიბათში ჩაის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობას.
- დეპუტატმა მაკა კვიციანიამ აღნიშნა, რომ სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე (ოქმი N2,21.03.2012 წელი) მან დააყენა საკითხი სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა საშემე მერქნით უზრუნველყოფაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის აუცილებლობის შესახებ. მას მიზანშეწონილად მიაჩნია მუნიციპალიტეტის მ/წ ბიუჯეტში დამატებით გამოიყოს თანხები, რათა მოხდეს მთხოვნელთა დაკმაყოფილება.
- დეპუტატ მაკა კვიციანიას მიერ დაყენებულ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტბემ განმარტა, რომ მთხოვნელთა

განცახდებებს დადგენილი წესით იხილავს გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახური, რომლის მიერ ჩატარებული მონიტორინგის საფუძველზე ხდება მათი დაკმაყოფილება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მოხდება ბიუჯეტში სათანადო ცვლილებების შეტანა.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:

  
  
რევაზ ჩიტიძე

საკრებულოს აპარატის უფროსი:



ნინო ძიდიგური

თანაშემწე:



დონარა დოლიძე

საკრებულოს მთ.სპეციალისტი

საოქმო საკითხებში:



მაია კველიძე